ა(ა)იპ “თიბისელები”

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	5
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	6

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ ,,თიბისელები”- ს (შემდგომში „ორგანიზაცია“) ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი	**ეკატერინე მარღანია**
დირექტორი	ბუღალტერი
ა(ა)იპ “თიბისელები”	ა(ა)იპ “თიბისელები”
19 თებერვალი, 2026	19 თებერვალი, 2026

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ა(ა)იპ „თიბისელები"- ს (შემდგომში „ორგანიზაცია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი	ეკატერინე მარღანია
დირექტორი	მეღალტერი
ა(ა)იპ "თიბისელები"	ა(ა)იპ "თიბისელები"
19 თებერვალი, 2026	19 თებერვალი, 2026

Moore Abc, LLC
2 D. Gamrekeli Str.,
0160, Tbilisi, Georgia

T +995 32 2 000 123
E info@moore.ge

www.moore-georgia.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

არაკომერციული იურიდიული პირი „თიბისელები“-ს მენეჯმენტს და დამფუძნებლებს
გამრეკელის ქუჩა № 2
თბილისი, საქართველო

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ ა(ა)იპ “თიბისელები”-ს (შემდგომში „ორგანიზაცია“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებზე.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი მომზადების საფუძვლების და საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძვლი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *”აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე”* - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

მნიშვნელოვანი გარემოებები - ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ორგანიზაციის დასახმარებლად, რათა დააკმაყოფილოს საქველმოქმედო ორგანიზაციისთვის საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრული შესაბამისი საკანონმდებლო მოთხოვნები. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში მოცემული საღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

Moore Abc is a limited liability company -registered in Georgia with identification number 206331691. Registered in the State Registry of Audit Firms with the registration number: SARAS-F-320544. An independent member firm of Moore Global Network Limited - a network of independent audit and consulting firms.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა *(გაგრძელება)*

აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით, და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლის მიერ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

სოფიო აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

ფირმის რეგისტრაციის ნომერი: *SARAS-F-320544*
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: *SARAS-A-417263*

19 თებერვალი, 2026
თბილისი, საქართველო

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	**შენიშვნა**	**31-დეკ-2025**	**31-დეკ-2024**
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	750	120,555
სულ მიმდინარე აქტივები		**750**	**120,555**
არამატერიალური აქტივები		658	993
სულ გრძელვადიანი აქტივები		**658**	**993**
სულ აქტივები		**1,408**	**121,548**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		4,942	2,187
საგადასახადო ვალდებულება		783	596
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,725**	**2,783**
წმინდა აქტივები			
რეზერვები და დაფინანსება		(4,317)	118,765
სულ წმინდა აქტივები		**(4,317)**	**118,765**
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**1,408**	**121,548**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2026 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი

დირექტორი

ა(ა)იპ "თიბისელები"

19 თებერვალი, 2026

ეკატერინე მარღანია

ბუღალტერი

ა(ა)იპ "თიბისელები"

19 თებერვალი, 2026

სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	750	120,555
სულ მიმდინარე აქტივები		**750**	**120,555**
არამატერიალური აქტივები		658	993
სულ გრძელვადიანი აქტივები		**658**	**993**
სულ აქტივები		**1,408**	**121,548**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		4,942	2,187
საგადასახადო ვალდებულება		783	596
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**5,725**	**2,783**
წმინდა აქტივები			
რეზერვები და დაფინანსება		(4,317)	118,765
სულ წმინდა აქტივები		**(4,317)**	**118,765**
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**1,408**	**121,548**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2026 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი
დირექტორი
ა(ა)იპ "თიბისელები"
19 თებერვალი, 2026

ეკატერინე მარღანია
ბუღალტერი
ა(ა)იპ "თიბისელები"
19 თებერვალი, 2026

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
წმინდა აქტივების ცვლილება			
შემოწირულობები	4	3,274,690	3,464,552
ფინანსური შემოსავალი	5	137	5,026
სხვა შემოსავალი	6	156,227	92,379
სულ შემოსავალი		**3,431,054**	**3,561,957**
საქველმოქმედო ხარჯი	7	(3,396,755)	(3,562,346)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	8	(146,057)	(143,810)
სულ ხარჯები		**(3,542,812)**	**(3,706,156)**
წმინდა საოპერაციო აქტივების ცვლილება		**(111,758)**	**(144,199)**
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)		(11,324)	(2,755)
წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე		**(123,082)**	**(146,954)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(3,459)
წმინდა აქტივების ცვლილება		**(123,082)**	**(150,413)**
წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში		118,765	269,178
წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს		**(4,317)**	**118,765**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2026 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი

დირექტორი

ა(ა)იპ "თიბისელები"

19 თებერვალი, 2026

ეკატერინე მარღანია

ბუღალტერი

ა(ა)იპ "თიბისელები"

19 თებერვალი, 2026

სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	შენიშვნა	2025 წელი	2024 წელი
წმინდა აქტივების ცვლილება			
შემოწირულობები	4	3,274,690	3,464,552
ფინანსური შემოსავალი	5	137	5,026
სხვა შემოსავალი	6	156,227	92,379
სულ შემოსავალი		**3,431,054**	**3,561,957**
საქველმოქმედო ხარჯი	7	(3,396,755)	(3,562,346)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	8	(146,057)	(143,810)
სულ ხარჯები		**(3,542,812)**	**(3,706,156)**
წმინდა საოპერაციო აქტივების ცვლილება		**(111,758)**	**(144,199)**
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება / (ზარალი)		(11,324)	(2,755)
წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე		**(123,082)**	**(146,954)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	(3,459)
წმინდა აქტივების ცვლილება		**(123,082)**	**(150,413)**
წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში		118,765	269,178
წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს		**(4,317)**	**118,765**

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2026 წლის 19 თებერვალს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

გვანცა მურღვლიანი	ეკატერინე ბარღანია
დირექტორი	ბუღალტერი
ა(ა)იპ "თიბისელები"	ა(ა)იპ "თიბისელები"
19 თებერვალი, 2026	19 თებერვალი, 2026

შენიშვნა 1: ზოგადი ინფორმაცია

ა(ა)იპ „თიბისელები" (შემდგომში ორგანიზაცია) - ს/კ 402153995 დაფუძნდა 2019 წლის 13 დეკემბერს. ა(ა)იპ „თიბისელები" წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. ორგანიზაციის დამფუძნებელები არიან: ქეთევან ხუხუნაშვილი და მარიამ ბერელიძე.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დირექტორი არის გვანცა მურღვლიანი.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია მარჯანიშვილის ქ. №7, თბილისი, საქართველო.

ორგანიზაციის ძირითად მიზნებს წარმოადგენს:

- ა(ა)იპ „თიბისელები"-ს მიზანია სს „თიბისი ბანკი"-ს თანამშრომლებს აღმოუჩინოს მატერიალური მხარდაჭერა იმ შემთხვევაში, თუ მათ ან/და მათი ოჯახის წევრებს წარმოექმნებათ რთული სამედიცინო პრობლემა ან/და საქართველოს ფარგლებს გარეთ გარდაცვალების შემთხვევაში, უზრუნველყოს თანამშრომლის ოჯახის წევრის გადმოსვენებისთვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.
- განახორციელოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი სხვა საქველმოქმედო აქტივობა.

ა(ა)იპ "თიბისელები" (ს/კ 402153995) (შემდგომში „ორგანიზაცია") ახორციელებს ორ ძირითად პროექტს წესდებით განსაზღვრული მიზნების თანახმად.

„სამედიცინო პრობლემების გადასაჭრელად გაღებული დახმარება"

ორგანიზაცია ეხმარება სს „თიბისი ბანკი"-ს (შემდგომში ბანკი) თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს (მეუღლე/შვილი/და-ძმა) რთული სამედიცინო პრობლემის დროს ხარჯების დაფარვაში. ორგანიზაციის მისიას წარმოადგენს განახორციელოს თანამშრომლების კეთილი ნება, მატერიალური დახმარება აღმოუჩინონ თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს. შესაბამისად, ორგანიზაციის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ბანკის თანამშრომლების ყოველთვიური ხელფასიდან ნებაყოფლობით დაკავებული 1%-იანი წილი. ასევე, სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია 2%-იანი წილის დაკავება.

რაც შეეხება სს „თიბისი ჯგუფი"-ს შვილობილ კომპანიებს, მათაც ეძლევათ შესაძლებლობა მიიღონ მონაწილეობა თიბისელების ორგანიზაციაში და შესაბამისად ისარგებლონ ორგანიზაციის რესურსებით.

სს „თიბისი ბანკი"-ს პროექტები

სს „თიბისი ბანკსა" და ორგანიზაციას შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მიღებული შემოწირულობა მიზნად ისახავს მამა ა.რ-ის ოჯახის და „საქველმოქმედო ფონდ - ქართული სავანე იერუსალიმში"-ს მატერიალურ დახმარებას.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

აღრიცხვის საფუძველი - სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის და შემოსავლების და ხარჯების დარიცხვის მეთოდით აღიარების საფუძველზე, გარდა შემოწირულობებისა, სხვა შემოსავლისა და საქველმოქმედო ხარჯებისა, რომელთა აღიარება ხდება საკასო მეთოდით. ეს პრინციპები თანმიმდევრულადაა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

ისტორიული ღირებულების პრინციპის მიხედვით, აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა - ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი ("GEL").

საანგარიშგებო პერიოდი - ჩვეულებრივ ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს პერიოდს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ოპერაციები სხვა ვალუტაში - ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება ფუნქციონალური ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, კონვერტირდება ლარში იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა ეს ოპერაცია განხორციელდა.
უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში ხორციელდება ამ თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ") მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ გადაფასდება. სებ-ის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსები საანგარიშგებო პერიოდში იყო:

	31-დეკ-2025	31-დეკ-2024
ლარი / 1 აშშ დოლარი	2.6951	2.8095
ლარი / 1 ევრო	3.1737	2.9106
ლარი / 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.6446	3.4877

ფული და ფულის ეკვივალენტები - ორგანიზაციის ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად გარდაიქმნება ფულადი სახსრების ცნობილ რაოდენობად და მათი ღირებულება ცვლილების უმნიშვნელო რისკს ექვემდებარება. ისინი გამიზნულია მოკლევადიან ფულად ვალდებულებათა შესასრულებლად და არა ინვესტირების ან სხვა მიზნებისათვის. აქედან გამომდინარე, ინვესტიცია, როგორც წესი, ფულადი სახსრების ეკვივალენტად მხოლოდ მაშინ კლასიფიცირდება, თუ მისი დაფარვის ვადა მცირეა, მაგალითად შესყიდვის თარიღიდან სამი თვე, ან უფრო ნაკლები.

არამატერიალური აქტივები - არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს საბუღალტრო პროგრამის ლიცენზიას, რომლის სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღრულია 10 წლის ვადით.

მოგების გადასახადი - ორგანიზაციის მიერ 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული შემოსავლები გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან, თუმცა ორგანიზაცია 1,000 ლარამდე გაცემულ ფულად სახსრებს საჩუქრის სახით არადაქირავებულ ფიზიკურ პირებზე, ბეგრავს მოგების გადასახადით საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე.

შემოწირულობა - შემოწირულობა წარმოადგენს ფულად შენატანებს, რომლებიც მიღებულია ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტებისათვის. შემოწირულობის სახით მიღებული ფულადი სახსრები შემოსავლად აღიარდება მათი მიღებისთანავე.

ფინანსური შემოსავალი - ფინანსური შემოსავალი წარმოადგენს ორგანიზაციის შემნახველი ანაბრიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალსა და საბანკო ანგარიშებზე განთავსებული დეპოზიტებიდან შემოსავალს.

საქველმოქმედო ხარჯი - საქველმოქმედო ხარჯს წარმოადგენს სს „თიბისი ბანკი"-ს თანამშრომლებზე/მათი ოჯახის წევრებზე გაწეული ფულადი დახმარება რთული სამედიცინო პრობლემის აღმოსაფხვრელად და სს „თიბისი ბანკი"-ს პროექტების ფარგლებში „საქველმოქმედო ფონდ - ქართული სავანე იერუსალიმში"-ს და მამა ა.რ-ის ოჯახისთვის გაცემული ფულადი დახმარება. საქველმოქმედო მიზნებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები ხარჯად აღიარდება მათი გაწევისთანავე.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

ხარჯების აღიარება - ხარჯები არის ეკონომიკური სარგებლის შემცირება საანგარიშგებო პერიოდში, ორგანიზაციიდან აქტივების გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება წმინდა აქტივების შემცირებით. ორგანიზაცია ხარჯებს აღიარებს დარიცხვის მეთოდით, რაც გულისხმობს ხარჯის აღიარებას იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

შენიშვნა 3: ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-25	31-დეკ-24
ლარები ადგილობრივ ბანკებში (GEL)	427	114,907
დოლარი ადგილობრივ ბანკებში (USD)	323	1,528
ევრო ადგილობრივ ბანკებში (EUR)	-	4,120
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	**750**	**120,555**

შენიშვნა 4: შემოწირულობები

	2025	2024
მიღებული შემოწირულობა პირთა მხარდასაჭერად, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას	3,206,367	3,155,831
მიღებული შემოწირულობა სს "თიბისი ბანკის" პროექტებისთვის	66,804	-
მიღებული შემოწირულობა შოვში დაზარალებულთა დასახმარებლად	-	230,265
მიღებული შემოწირულობა პროექტ "სტიპენდიანტი ბავშვების"-ს დასაფინანსებლად	-	71,882
მიღებული შემოწირულობა უკრაინის ომის შედეგად დაზარალებულთათვის	-	6,574
სხვა შემოწირულობები	1,519	-
სულ შემოწირულობები	**3,274,690**	**3,464,552**

მიღებული შემოწირულობა პირთა მხარდასაჭერად, რომლებიც საჭიროებენ სამედიცინო დახმარებას - სს „თიბისი ბანკი"-სა და მისი შვილობილი კომპანიებისგან მიღებული შემოწირულობები, რომლის მიზანია მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბანკის თანამშრომლებს იმ შემთხვევაში, თუ მათ ან/და მათი ოჯახის წევრებს წარმოექმნებათ რთული სამედიცინო პრობლემა.

მიღებული შემოწირულობა სს "თიბისი ბანკი"-ს პროექტებისთვის - სს "თიბისი ბანკი"-საგან მიღებული დაფინანსება ფონდი - ქართული სავანე იერუსალიმში და მამა ა. რ-ის ოჯახის დასახმარებლად.

მიღებული შემოწირულობა შოვში დაზარალებულთა დასახმარებლად - ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულობები, რომლის მიზანია მატერიალურად დაეხმაროს რაჭა-შოვის ტრაგედიის შედეგად დაზარალებულებს.

მიღებული შემოწირულობები პროექტ „სტიპენდიანტი ბავშვები"-ს დასაფინანსებლად - სს „თიბისი ბანკისა" და ააიპ „თიბისელებს" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში მიღებულ თანხები, რომელიც მიზნად ისახავს ერთი წლის განმავლობაში წარჩინებული სტუდენტებისა და მოსწავლეებისთვის ყოველთვიური ფულადი საჩუქრების გაცემას.

მიღებული შემოწირულობა უკრაინის ომის შედეგად დაზარალებულთათვის - ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიღებული შემოწირულობები, რომლის მიზანია მატერიალური მხარდაჭერა აღმოუჩინოს თიბისი ბანკის უკრაინელ თანამშრომლებსა და მათ ოჯახის წევრებს.

სხვა შემოწირულობები - თიბისი ბანკის თანამშრომელსებისაგან მ. ბ-ის დასახმარებლად შემოწირული თანხები.

შენიშვნა 5: ფინანსური შემოსავალი

ფონდის ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს განთავსებული დეპოზიტიდან მიღებული შემოსავალსა და შემნახველი ანაბრიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალს. 2025 წელს ფონდის ფინანსურმა შემოსავალმა შეადგინა 137 ლარი (2024 წელს - 5,026 ლარი).

შენიშვნა 6: სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი წარდგენილია, ძირითადად, დაბრუნებული თანხებით, რომლებიც ეკუთვნოდა საქველმოქმედო ხარჯს, კერძოდ, თანამშრომლებზე გაწეულ ფულად დახმარებას რთული სამედიცინო პრობლემის აღმოსაფხვრელად.

შენიშვნა 7: საქველმოქმედო ხარჯი

	2025	2024
ჯანრთელობის პრობლემებთან დაკავშრებით გაწეული ფინანსური მხარდაჭერა	3,364,018	3,329,432
სს "თიბისი ბანკის" პროექტების ხარჯები	32,737	
შოვში დაზარალებულთა დასახმარებლად გაწეული ფინანსური მხარდაჭერა	-	201,616
პროექტ „სტიპენდიანტი ბავშვები"-ს ფარგლებში გაცემული ფულადი საჩუქრები	-	20,860
უკრაინის ომის შედეგად დაზარალებულთა ფინანსური მხარდაჭერა	-	10,438
სულ საქველმოქმედო ხარჯი	**3,396,755**	**3,562,346**

შენიშვნა 8: ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი

	2025	2024
ხელფასისა და დანამატის ხარჯი	122,571	110,537
საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურების ხარჯი	14,943	15,885
საბანკო მომსახურების ხარჯი	7,979	5,285
ამორტიზაციის ხარჯი	336	308
სხვა საერთო ხარჯი	228	11,795
სულ ადმინისტრაციული და სხვა ხარჯი	**146,057**	**143,810**

შენიშვნა 9. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

- **სასამართლო დავები**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

- **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

- **საოპერაციო გარემო**

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალური ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

შენიშვნა 10. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებოო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მოვლენას, რომელიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებს და ცვლილებებს მოცემულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში.

- დოკუმენტის დასასრული -